დედოფლისწყარო
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

# შირაქი

SHIRAKI
www.opentext.ge
გამოდის 1937 წლიდან

№31 (9.547)
24 აგვისტო 2012 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

# დედოფლისწყაროში რთველი დაიწყო

საქართველოში რთველი დედოფლისწყაროდან დაიწყო. ქვეყნის მასშტაბით ყურძენი პირველად სწორედ ალაზნისპირა სოფლებში — სამთაწყაროსა და ფიროსმანში იწევა. სამთაწყაროელების ინფორმაციით, ყურძენი შესაბამის კონდიციაში უკვე შესულია და მისი შაქრიანობაც ნორმის ფარგლებშია.

22 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი სოფელ სამთაწყაროში ჩავიდა, სადაც რთველის დაწყებას დაესწრო და ადგილობრივ გლეხებთან ერთად ყურძნის კრეფაში მიიღო მონაწილეობა. ის ადგილობრივ მოსახლეობასაც გაესაუბრა და აღნიშნა, რომ კახური ღვინის რეპუტაცია არ უნდა შეილახოს:“ სტიქიის გამო სახელმწიფომ წელს თავად გადაწყვიტა ხალხისგან ყურძნის შეძენა გაცილებით მაღალ ფასში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვინდა მაღალი ხარისხის ღვინო. სახელმწიფო ყველანაირ პირობას გიქმნით მევენახეებს, რომ ხარისხიანი ყურძენი ჩააბაროთ ღვინის ქარხნებს. ჩვენი მიზანია, კახური ღვინო იყოს საუკეთესო“ — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

კახეთის რეგიონში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით 55 ყურძნის ჩამბარებელი პუნქტი გაიხსნება. მოსახლეობას საშუალება ექნება ყურძნის ის ნაწილი, რომელიც სტიქიას გადაურჩა, ღვინის ქარხნებს ჩააბაროს. რაც შეეხება ყურძნის ფასს, 1 კგ საფერავის ჯიშის ყურძნის ჩაბარება 1 ლარად იქნება შესაძლებელი. მოსახლეობა ყურძნის სარეალიზაციო ფასით წელს კმაყოფილია. მათი აზრით, მთავრობის ეს გადაწყვეტილება მათ არა მარტო ყურძნის თვითღირებულებას აუნაზღაურებს, არამედ ვალების გასტუმრების შესაძლებლობასაც მისცემს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ყურძნის სახელმწიფო ვაუჩერით ანაზღაურებული თანხა გასულ წელთან შედარებით შავ ყურძენზე 25 თეთრიდან 35 თეთრამდე, ხოლო თეთრზე - 15 თეთრიდან 25 თეთრამდე გაიზრდება.

როგორც ყურძნის ჩამბარებელ პუნქტებში აცხადებენ, ისინი მოსახლეობას მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს და სეტყვისგან დაზიანებულ ყურძენსაც მიიღებენ, თუმცა მისი ფასი მკვეთრად დაბალი იქნება — 1 კგ—ის ფასი 35 თეთრიდან დაიწყება.

რთველის ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარებაზე რამდენიმე დღის წინ ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა.პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღვინის ქარხნებთან რიგები არ იყოს და ფასი იყოს მაღალი. „საერთო კომპლექსური ღონისძიებების შედეგად დავიჭიროთ უფრო მაღალი ფასი იმიტომ, რომ ზოგადად სოფლის მეურნეობის სტიმულირებისთვის, განსაკუთრებით განადგურებული ვენახების ფონზე, არის ძალიან მნიშვნელოვანი. ბაზრები უკვე არის, პირველი წელია, როცა პრინციპში ყოველთვიურად მაქვს მოხსენება, რომ იზრდება ჩვენი ღვინის გასაღების მაჩვენებელი მსოფლიო ბაზრებზე. თეორიული პრობლემაც კი არ გვაქვს გაყიდვის. ახლა მთავარია, რომ მევენახემ დაინახოს სარგებელი. მე თბილისის მერიას ველაპარაკები, თბილისში განსაკუთრებულ ზომებს მივიღებთ, რომ სექტემბრის განმავლობაში სპეციალური ბაზრობები მოვაწყოთ. მთავარია, რომ ფასი დავიჭიროთ“, — განაცხადა სააკაშვილმა.



წელს კახეთში 90 ათასამდე ტონა ყურძენია მოსალოდნელი. 2011 წელს, კახეთში ყურძნის მოსავალმა 113 506 ტონა შეადგინა. აქედან 82 179 ტონა რქაწითელი, 26 236,5 ტონა საფერავი, 5 090,5 ტონა კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი იყო, მათ შორის ჰიბრიდული. რთველის სუბსიდირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი გამოიყო. ქარხნებმა რქაწითელის ჯიშის ყურძენი 45-50 თეთრად, საფერავი კი 60-65 თეთრად ჩაიბარეს. აქედან რქაწითელზე სუბსიდია 15 თეთრი, საფერავზე კი 25 თეთრი იყო.

ინგა შიოლაშვილი

## ნაგავსაყრელთან: სანიტარული ნორმები დაცულია!



გვ. 4

## ვაშლოვანის ნაკრძალში ტურისტების რაოდენობამ იმატა



გვ. 2

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

# შეწყალების კომისიამ 100—ზე მეტ პატიმარს შეწყალების რეკომენდაცია მისცა

შეწყალების სახელმწიფო კომისიამ განხილული 206 მსჯავრდებულის საქმიდან 100-ზე მეტ პატიმარს შეწყალების რეკომენდაცია მისცა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს კომისიის ხელმძღვანელმა ელენე თევდორაძემ განუცხადა, შეწყალების რეკომენდაცია ერთ არასრულწლოვან მსჯავრდებულზე და 14 ქალზე გაიცა.

სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის განმარტებით კი, კომისიამ შეწყალების რეკომენდაცია ძირითადად იმ პატიმრებს გაუწია, რომელთაც სასჯელის ნახევარზე მეტი აქვთ მოხდილი და მძიმე კატეგორიის დანაშაულში არ არიან მსჯავრდებულნი.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პატიმრებს ამჯერად მარიამობის დღესასწაულთან — 28 აგვისტოსთან დაკავშირებით შეიწყალებს.

# კახეთში რეგიონული განვითარების საბჭო შეიქმნა

ეფექტიანი რეგიონული მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მიერ შეიქმნა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის სათათბირო ორგანო - რეგიონული განვითარების საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანაა კახეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგიის შემუშავება.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია სტრატეგიაზე მუშაობისას თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (GIZ). მათი მხარდაჭერით შეიქმნა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე.

ამ პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა და ჩართულობა.

# კონკურსი „აღმოაჩინე შენი სოფლის ტურისტული პოტენციალი“ დაიწყო



კახეთის მაცხოვრებლებისთვის კონკურსი „აღმოაჩინე შენი სოფლის ტურისტული პოტენციალი“ დაიწყო. პროექტი მიზნად ისახავს ტურისტული მარშრუტების შექმნას, სოფლის გარემოს შესწავლასა და მათი ტურისტული პოტენციალის გამოვლენას. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საუკეთესო პროექტზე ფულადი ჯილდო გაიცემა.

პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში ტურისტული მარშრუტები და ღირსშესანიშნაობები დაზუსტდება, განისაზღვრება ისტორიული ძეგლები, ბაზრობა, სუვენირების მაღაზიები, კვების ობიექტები, ხედები, რომლებიც საინტერესო და მიმზიდველია დამთვალიერებლებისთვის, შეირჩევა ტურისტულ ბიზნესში ჩართვის მსურველი ოჯახები“, — განაცხადა სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ია დავითაიამ.

სააგენტოს ცნობით, მარშრუტი შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ, ასევე რამდენიმე ტურისტულ ქალაქს ან სოფელს. პროექტში მონაწილე ჯგუფებს შესაძლებლობა ექნებათ, წარმოადგინონ საკუთარი წინადადებები, აღწერონ მათ მიერ შერჩეული ტურისტული მარშრუტი, დაგეგმონ ექსკურსია მანძილისა და მისი დათვალიერებისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, დაიანგარიშონ ერთი ტურისტისთვის ექსკურსიის ღირებულება, განსაზღვრონ დამატებით რით შეიძლება დაინტერესდნენ დამთვალიერებლები, ხომ არ არსებობს რაიმე ლეგენდა ან გადმოცემა ამ ადგილის შესახებ, რა ადგილები იქნება გამოყოფილი პიკნიკისთვის, რათა სტუმარმა დააგემოვნოს ქართული ღვინო, მონაწილეობა მიიღოს ტრადიციულ ქართულ ეთნოგრაფიულ—სამეურნეო საქმიანობაში, დაესწროს ადგილობრივ დღესასწაულებს.

დაინტერესებულმა პირებმა პროექტი 10 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ ქალაქ თელავის, სიღნაღისა და ყვარლის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში ან „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ ოფისებში. გამარჯვებულები სამ ნომინაციაში შეირჩევა — საუკეთესოდ დაგეგმილი მარშრუტი, ორიგინალური მიდგომა ან იდეა, მარშრუტის საინტერესო შინაარსი და ფოტომასალა. საპრიზო ფონდი 3000 ლარს შეადგენს.

კონკურსს სტრატეგიული განვითარების სააგენტო „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ერთად ატარებს.

# ვაშლოვანის ნაკრძალში ტურისტების რაოდენობამ იმატა

წელს კახეთში, დაცულ ტერიტორიებზე 19 942 ვიზიტორია აღრიცხული. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს დაცული ტერიტორიების სააგენტოში განუცხადეს, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გასულ წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობის მატება დაფიქსირდა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2011 წელთან შედარებით, მიმდინარე წელს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 53%-ით, ხოლო ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე კი სამჯერ არის გაზრდილი.

ვიზიტორთა რაოდენობამ იკლო თუშეთში. „ვიზიტორთა რაოდენობის კლება დაფიქსირდა 7 თვის მონაცემებით თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, თუმცა საერთო ჯამში კახეთის რეგიონის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობის მატების სურათი არ შეცვლილა. 2011 წლის 7 თვის მონაცემებით (ივლისის ჩათვლით) ლაგოდეხის, ვაშლოვანისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე 13 395 ვიზიტორი დაფიქსირდა, ხოლო 2012 წელს მათი რაოდენობა 48%-ით არის გაზრდილი და 19942 ვიზიტორია აღრიცხული“, — განაცხადა დაცული ტერიტორიების სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ანნა ჯაფარიძემ.

თუშეთში ვიზიტორთა რაოდენობის კლებას ლონდონის ოლიმპიადას უკავშირებენ. „ჩვენი სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, თუშეთში ვიზიტორთა ნაკადის შემცირების ძირითად მიზეზად ოლიმპიადას ასახელებენ. ვიზიტორები ოლიმპიადაზე არიან წასულები. წელს, თუშეთში ამ დროისათვის 2 600-მდე ვიზიტორია შემოსული. შარშან თითქმის ორმაგი იყო. შემოსული ვიზიტორებიდან ნახევარი ქართველია და ნახევარი უცხოელი. ძირითადად ჩეხები და პოლონელები გვსტუმრობენ“, - განაცხადა თუშეთის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების უფროსმა ონისე იჭირაულმა.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კავკასიის ბუნების ფონდმა, დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნით, თუშეთის და ვაშლოვანის ეროვნული პარკებისათვის, 604 000 ევრო გამოყო. პროექტის ფარგლებში, ტურისტების მოზიდვის მიზნით, ორი წლის განმავლობაში მოეწყობა მცირე ინფრასტრუქტურა და განხორციელდება სხვადასხვა გარემოსდაცვითი პრიორიტეტული ღონისძიებები.

# კახეთში ღვინის ტურიზმის დროს ტურისტების რაოდენობის ზრდას ელიან

რთველის დაწყებასთან ერთად კახეთი ტურისტების გააქტიურებას ელოდება. სიღნაღის საინფორმაციო ცენტრში განაცხადეს, რომ რთველის პერიოდი ღვინის ტურიზმის გააქტიურებას იწვევს. მათი თქმით, შემოდგომაზე კახეთში საზამთროს ფესტივალიცაა დაგეგმილი, რაც ასევე გამოიწვევს დამსვენებელთა რაოდნეობის ზრდას.

სიღნაღის საინფორმაციო ცენტრის მტკიცებითვე, ზაფხულის განმავლობაში კახეთი ტურისტულად აქტიური ადგილი იყო, რამაც გასულ წელთან შედარებით ტურისტთა რაოდენობის საგრძნობი ზრდა გამოიწვია. რთველის განმავლობაში დამსვენებლების მატებას ელოდებიან კახეთში მდებარე სასტუმროებიც.

# სწავლა 17 სექტემბერს დაიწყება

საქართველოს საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 17 სექტემბერს იწყება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ხათუნა დეკანოიძის განცხადებით, ყველა სკოლა 17 სექტემბერს სასწავლო პროცესს შეფერხების გარეშე განაახლებს.

მინისტრის განცხადებით, წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები 527 საჯარო სკოლაში განხორციელდა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სამინისტრო სოციალური პროგრამის ფარგლებში აგრძელებს მოსწავლეებისთვის უფასო სახელმძღვანელოების გადაცემას და წელს 140 ათასი მოსწავლე I-დან XII კლასის ჩათვლით სახელმწიფოსგან საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოებს მიიღებს.

“სახელმძღვანელოები გადაეცემათ სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებს, იმ ოჯახების მოსწავლეებს, საიდანაც ერთდროულად სამი ან მეტი ბავშვი სწავლობს სკოლაში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილებს. სულ ამ სამი კატეგორიის მოსწავლეებზე მილიონამდე წიგნი გაიცემა და ეს სახელმძღვანელოები მათ 17 სექტემბერს სკოლაში დახვდებათ”, - აღნიშნა მინისტრმა.

მინისტრის განცხადებით, წელს პირველად სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოს მასშტაბით 400 სკოლაში გაიყიდება. სკოლებში სახელმძღვანელოები ისე გადანაწილდება, რომ წიგნების შეძენას სხვა სკოლების მოსწავლეებიც შეძლებენ. სახელმძღვანელოების მაქსიმალური ფასი 10 ლარი იქნება. წიგნების შეძენის შესაძლებლობა მოსწავლეებს 10 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით მიეცემათ. 1 სექტემბრისთვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება იმ სკოლების ჩამონათვალი, სადაც სახელმძღვანელოები გაიყიდება.

ხატია დეკანოიძის განმარტებით, მოსწავლეებს წელსაც შეეძლებათ სახლიდან გაუსვლელად, საქართველოს ფოსტის ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონულად გამოიწერონ სასკოლო სახელმძღვანელოები. ამ სერვისით სარგებლობა საქართველოს მასშტაბით ყველა მსურველს შეუძლია. გამოწერილ სახელმძღვანელოებს თბილისში მოსახლეობა გამოწერიდან 24 საათის განმავლობაში, ხოლო რეგიონებში 48 საათის განმავლობაში მიიღებს. გარდა ამისა, 17 სექტემბერს ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელს სკოლაში ნეტბუკი დახვდება.

რაც შეეხებათ უმაღლეს სასწავლებლებს, სწავლის დაწყებას სასაწვლებლები თავად წყვეტენ, თუმცა სასწავლო პროცესი არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა უნდა დაიწყოს. იგივე ეხებათ საბავშვო ბაღებსაც, რომლებიც მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არიან.

# ODIHR–მა საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებისთვის თბილისში წარმომადგენლობა გახსნა

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებისთვის თბილისში წარმომადგენლობა გახსნა. ეუთო-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მისია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით გაიხსნა.

წარმომადგენლობა, რომელსაც ნიკოლაი ვულჩანოვი ხელმძღვანელობს, საქართველოში მყოფ 15 საერთაშორისო ექსპერტს და 28 გრძელვადიან დამკვირვებელს აერთიანებს, რათა მათ მთელი ქვეყანა მოიცვან.

გარდა ამისა, ODIHR-ს არჩევნებზე 350 მოკლევადიანი დამკვირვებელი ეყოლება, რომლებიც კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესს დააკვირდებიან. „დამკვირვებლები არჩევნებს რამდენიმე პრინციპის გათვალისწინებით შეაფასებენ — რამდენად შეესაბამება არჩევნები დემოკრატიულ საარჩევნო პროცესებს, ეუთო-ს ეგიდით ნაკისრ მოვალეობებსა და ეროვნულ კანონმდებლობას. მონიტორები დააკვირდებიან საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას და მის გაშუქებას მასმედიაში, საკანონმდებლო ჩარჩოებს და მის განხორციელებას, საარჩევნო ადმინისტრაციის და სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობას, ასევე საარჩევნო დებატების უფლების განხორციელებას. დაკვირვების პროცესში მისია შეხვდება კომპეტენტურ ორგანოებს, კანდიდატებს, პოლიტიკურ პარტიებს, სასამართლო ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს“, - ნათქვამია განცხადებაში.

მოკლევადიანი დამკვირვებლები, რომლებიც პირველი ოქტომბრისთვის ჩამოვლენ, ორ ჯგუფად გაიყოფიან და მთელი ქვეყნის მასშტაბით დააკვირდებიან საარჩევნო უბნების გახსნას, კენჭისყრას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესებს.

„არჩევნებზე დასაკვირვებლად ODIHR-ს სადამკვირვებლო მისიას ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციაც დაემატება. წინასწარი შედეგები და დასკვნები არჩევნების მეორე დღეს გამოქვეყნდება“, — აღნიშნულია განცხადებაში. შემაჯამებელ ანგარიშს კი ODIHR-ი საარჩევნო პროცესების დასრულებიდან დაახლოებით ორ თვეში გამოაქვეყნებს.

# ამომრჩეველთა ერთიანი სია შემცირდა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიის უბნებად დაყოფა დაასრულა. ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ 15 აგვისტოს მდგომარეობით განხორციელებული ცვლილებების შედეგად ამომრჩეველთა ერთიანი სია 3,613,747-მდე ანუ 7,509-ით შემცირდა, – აცნობეს „მედიანიუსს“ ცესკოდან.

საარჩევნო უბნების რაოდენობამ საზღვარგარეთ და გამონაკლის შემთხვევაში გახსნილი უბნების გარეშე 3,648 შეადგინა.

# დედოფლისწყარო ცოტა ხანში კიდევ უფრო გალამაზდება

სულ ახლახანს დაიწყო და უახლოეს დღეებში დასრულდება დედოფლისწყაროს ცენტრში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის პარკის სარემონტო სამუშაოები. ბაღს, რომელიც წლების განმავლობაში მიუხედავი იყო და არ ჩატარებია აღდგენითი სამუშაოები, ამჯერად მთლიანად უკეთდება რესტავრაცია, რის შემდეგაც ფიროსმანის სახელობის პარკში გაკეთდება ბალახის მწვანე საფარი, განათება და დამონტაჟდება სკამები. ის ცოტა ხანში გახდება დედოფლისწყაროელების კიდევ ერთი საყვარელი ადგილი, სადაც ყველა ასაკის ადამიანი სიამოვნებით დაისვენებს. მოქალაქეები კმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნული სამუშაოებით.

სკვერის სარემონტო სამუშაოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახური აწარმოებს.

* * *

სოფელ არბოშიკში დასრულდა სოფლის ცენტრში მოსახლეობის თავშეყრის ადგილის ქვით მოპირკეთება, ამავე მასალით გაკეთდა არბოშიკის კულტურის სახლის მესერი. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შედეგად მთლიანად გალამაზდა არბოშიკის ცენტრალური ქუჩის ფასადი, რაზეც ადგილობრივები კმაყოფილებას გამოსთქვამენ. ,,წლების მანძილზე ჩამონგრეული ფიცრის ღობე და დანგრეული სკამი იყო სოფლის ცენტრში ჩვენი თავშეყრის ადგილი, თუ ამ ადგილს ვინმე გაგვილამაზებდა, ვერც წარმოვიდგენდით, მაგრამ ხედავთ თქვენ, როგორი ლამაზი ქუჩა გვაქვს ახლა,რითიც კმაყოფილები ვართ, ნაგავს არხში აღარ ვყრით, ნაგვის მანქანა დადის და მას მიაქვს ნაგავი, მოსახლეობაც მიეჩვია ამ პრაქტიკას. ყველაფერი გამოსწორებისკენ მიდის, ყველაფერი ერთბაშად ზღაპარშიც კი არ არსებობს“, - აღნიშნავდნენ სოფლის ცენტრში სკამზე ჩამომსხდარი არბოშიკელები.

ლალი მეხრიშვილი





ქ. დედოფლისწყარო

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №384

17.08. 2012 წელი
ქ. დედოფლისწყარო,
კოსტავას ქ.№44
ტელ. 0356222503
საიდენტიფიკაციო კოდი 228 542 413
www, dedoplistskaro.ge
ელ-ფოსტა: dedoplistskaro_region@yahoo.com
Identication Code 228 542 413

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში (ნალტაკიანი არმენის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ცოფის დადგენასთან დაკავშირებით) ზოოანთროპონოზური ინფექციური დაავადების ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შესახებ.

— — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

ცოფის კერის აღმოჩენასთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში (ნალტაკიანი არმენის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ცოფის დადგენასთან დაკავშირებით) ზოოანთროპონოზური ინფექციური დაავადების ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით, საქართველოს კანონის —სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის, თავი მე—13, მუხლები:53,55,56; ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების №2—217 „საერთაშორისო ვეტერინარული სანიტარული კოდესით განსაძღვრული „ა“ და „ბ“ ჯგუფის საშიში გადამდები სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ—საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების სესახებ“ (1 მაისი 2006წ.), აგრეთვე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს 2012 წლის 16 აგვისტოს №175 მომართვის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში (ნალტაკიანი არმენის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ცოფის დადგენასთან დაკავშირებით) ზოოანთროპონოზური ინფექციური დაავადების— ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების და მასზე ზედამხედველობის განხორციელების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ალექსანდრე ალულიშვილი** — მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

**ივანე ხელაშვილი** — მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**ეთერ იაკობიშვილი** — სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტი, კომისიის წევრი;

**მარიეტა გონაშვილი** — ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი;

**არტაკ აივაზიანი** — დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის სოფელ საბათლოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, კომისიის წევრი;

**თამარ ალადაშვილი** — მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

**ანა ბენაშვილი** — მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. ვეტკანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, ცხოველების საშიში სნეულებების ლოკალიზაცია—ლიკვიდაციის მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია გამოცხადდეს ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერად და დაწესდეს საკარანტინო ზედამხედველობა ორი თვის განმავლობაში. იმუნო—ბუფერული ზონის შექმნის მიზნით, მოხდეს ცოფის ამთვისებელი ჯანმრთელი ცხოველების იძულებითი ვაქცინაცია.

3. ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს დაევალოს დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობის აღრიცხვა და აწარმოოს მონიტორინგი ცოფით დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობის ანტირაბიული პროფილაქტიკური აცრების ჩატარებაზე.

4. სოფელ საბათლოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში აიკრძალოს ძაღლებისა და კატების ქუჩაში გაყვანა ან მათი სარეალიზაციოდ გადაყვანა.

5. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალურმა სამმართველომ უზრუნველყოს:

- ცოფიან ცხოველთან კონტაქტირებული ცხოველების გამოვლენა, ლიკვიდაცია;
- იმუნო—ბუფერული ზონის შექმნის მიზნით ცოფის ამთვისებელლი ჯანმრთელი ცხოველების იძულებთი ვაქცინაცია;
- ცოფიანი ცხოველის მიერ დასნებოვნებული ეზოების დეზინფექცია;
- აღნიშნული დაავადების თაობაზე მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

6. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტთა მიერ არაკეთილსაიმედო ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლინიკურად ჯანმრთელი რძის საკვებად გამოყენება დასაშვებია მხოლოდ 80—85 გრადუსზე 30 წუთის პასტერიზაციის ან 5 წუთი დუღილის შემდეგ.

7. ვეტკანონმდებლობის თანახმად, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს წარდგინებით, დაავადების კერაში შეზღუდვები მოიხსნას ცოფით ავადმყოფი ცხოველის სიკვდილის უკანასკნელი გამოვლენიდან 2 თვის შემდეგ.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“ და განთავსდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (dedoplistskaro.ge).

9. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

10. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ. №2) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.ისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ. №2) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

მუნიციპალიტეტის გამგებელი
ნიკოლოზ შანშიაშვილი

# ნაგავსაყრელთან: სანიტარული ნორმები დაცულია!



სურსათის ეროვნული სააგენტო ქალაქ დედოფლისწყაროში, სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნაგავსაყრელთან არსებული ყველის საწარმოში დაცული სანიტარული ნორმებით ინტერესდება და ვითარების შესწავლას უახლოეს დღეებში დაიწყებს. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას სააგენტოს პრესსამსახურის უფროსმა ვერიკო გულუამ განაცხადა. ხსენებული საწარმო სკანდალში მას შემდეგ გაეხვა, რაც ტელეკამერებმა ყველის მზადების პროცესში იქ უამრავი მწერი და ანტისანიტარია დააფიქსირეს.

**„ეკოფუდის" რძის მიმღები პუნქტი დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელთან 40 მეტრში მდებარეობს.** ცენტრალური ტელეკომპანიების ეთერში გავიდა რამდენიმე რეპორტაჟი, სადაც საუბარია, რომ საწარმოში, სადაც რვა წელია საკვები პროდუქტი მზადდება, საშინელი ანტისანიტარიაა. საწარმოს მოძველებულ შენობაში მუდმივად მწერების სიმრავლეს ნაგავსაყრელის სიახლოვე იწვევს. მედიას აინტერესებდა, არის თუ არა მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი აქ წარმოებული პროდუქტების საკვებად გამოყენება და ხომ არ ემუქრება მომხმარებლის ჯანმრთელობას საფრთხე. სამწუხაროდ, საწარმოს პერსონალმა და ხელმძღვანელმა მედიასთან ამ საკითხებზე ღიად საუბარი არ ისურვეს.

მოგვიანებით, საწარმოს მხრიდან სანიტარული ნორმების კონტროლის თაობაზე დეტალების დაზუსტება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის დედოფლისწყაროს სამმართველოში ვცადეთ. დედოფლისწყაროს მთავარმა ვეტერინარმა მიხეილ ქევხიშვილმა ამ თემაზე მედიასთან საუბარი არ ისურვა, მოუცლელობა მოიმიზეზა და განმარტებების მისაღებად პრესსამსახურისთვის მიმართვა გვირჩია.

„ჩვენ თუ ინფორმაცია არ მოვიძიეთ და დეტალებში არ გავერკვიეთ, ბუნებრივია, ასე კონკრეტულად არ გვეცოდინება, რა ვითარება არის ადგილზე და რა ნაგავსაყრელზეა საუბარი. წინასწარ რაიმეს თქმა გაგვიჭირდება. დავინტერესდებით ამ საკითხით, აუცილებლად გავარკვევთ... დედოფლისწყაროში მომუშავე სპეციალისტებს ვთხოვთ, რომ კიდევ ერთხელ შეისწავლონ ეს საწარმო და იქ არსებული სანიტარიული ნორმები. გაერკვევიან, რა ხდება ადგილზე და ამის მიხედვით განცხადებას შემდეგ გავაკეთებთ," - აღნიშნავს ვერიკო გულუა.

საწარმოს ხელმძღვანელი გია ლოლაშვილი ამბობს, რომ თავად რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ეკოფუდის" თანამშრომელია, თუმცა ეს საწარმო „ეკოფუდის" არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საწარმოში ჟურნალისტების პირველი სტუმრობის დროს შენობაზე სწორედ „ეკოფუდის" აბრა დაფიქსირდა. ლოლაშვილი ამბობს, რომ საწარმოში სანიტარული ნორმები „ასე თუ ისე დაცულია", თუმცა არც იმას მალავს, რომ ირგვლივ მდებარე ნაგავსაყრელი და მომრავლებული მწერები დიდი პრობლემაა, როგორც საწარმოს პერსონალისთვის, ისე ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის.

ლოლაშვილი სანიტარული ნორმების შესახებ რაიმე ოფიციალური დოკუმენტის წარდგენას ჟურნალისტებისთვის არ აპირებს. ის ამბობს, რომ ასეთი კითხვებით მათთვის მიმართვა და შემოწმება მხოლოდ შესაბამის უწყებებს შეუძლიათ. ის იქვე მიანიშნებს, რომ მაკონტროლებელ უწყებებთან სანიტარულ ნორმებთან დაკავშირებით პრობლემები რვა წლის განმავლობაში არ შექმნიათ.



შეგახსენებთ, დედოფლისწყაროში წარმოებული რძის პროდუქტებით დედაქალაქში მდებარე მრავალი სავაჭრო ობიექტი მარაგდება და სარეკლამო სლოგანი „დედოფლისწყაროს და შირაქის რძის პროდუქტები" თბილისელებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

სანიტარული ნორმები ამგვარ ობიექტებში განსაკუთრებით დაცული რომ უნდა იყოს, ამას ადგილობრივი მომხმარებელიც ითხოვს და სურსათის ეროვნულ სააგენტოს მეტი ყურადღებისა და ნორმების გამკაცრებისკენ მოუწოდებს.

ამჯერად კი, სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ საწარმოს მდგომარეობის შესწავლა უკვე იწყება და პრობლემების არსებობის შემთხვევაში რეაგირება მოჰყვება.

ილია მარტყოფლიშვილი

# ყველამ ვიცით, სად არის ბაზარი!

ზაფხულის დილაა, მზემ პირველი სხივი სტყორცნა და დილიდანვე, ჯერარგაღვიძებულ ქალაქში დააცხუნა. მძინარე ქალაქის სიმყუდროვეს მხოლოდ კომუნისტებისდროინდელი დაფახფახებული მანქანის არასასიამოვნო, ყურისგამაღიზიანებელი გაბმული სიგნალი არღვევს. სიგნალი, რომელიც არ ჩერდება და ყველას ტკბილ ძილს უფრთხობს. მანქანიდან მძღოლი თავს ჰყოფს და მკვახე ხმით გაჰყვირის-აბა, პამიდორი, ხახვი, კარტოფილი, საზამთრო... ამ გამაყრუებელ ხმაურზე მთელ ქალაქს ეღვიძება და აქეთ-იქიდან ისმის უკმაყოფილების გამომხატველი სიტყვები. -"რა იყო, რა აღარ გაჩერდა, ბავშვებს ძილი დაუფრთხო... ჩემი ქალაქელი სტუმარი გამიღვიძა, ფეთიანები წამოვხტით, მეუღლე წუხელის სამსახურიდან გვიან დაბრუნდა და ძილი არ დააცადა... ხალხს დასვენებას არ გვაცდიან ეს ოხრები, აღარც ძილია ჩვენთვის და აღარც მშვიდი ცხოვრება, ჩვენს სიმყუდროვეს არღვევენ, ამით ჩვენი უფლებები ირღვევა, განა არ ვიცით, სად არის ბაზარი?-წავალთ და ვიყიდით,რას დადიან!-ისმის გამოღვიძებული ადამიანების გაბრაზებული ხმები აქეთ- იქიდან. ამ მცირე შესავლითაც ალბათ მიხვდით, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა გზაზე მოსიარულე ვაჭრებზე გამოსთქვამს უკმაყოფილებას.

ზაფხულის სეზონი ძალაშია შესული და ბაზარში გასაყიდ დახლებზე ხილ-ბოსტნეულმა იმატა. ისე, რომ გამვლელ- გამომვლელს სურს თუ არა,



თავისკენ იხმობენ გვერდებაწითლებული ვაშლები თუ ატმები, საზამთროები და ამზეურებული ნესვები, ათასი ბოსტნეული, და ვინ მოსთვლის, რა ფერი აღარ ტრიალებს რაიონის შუაგულში. ხილ- ბოსტნეული ხომ ყველაზე ხალას და ნატურალურ სასიამოვნო ფერებს ბადებენ. მოკლედ ,ის ამბავი, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი დედოფლისწყაროს ბაზარში იყიდება, ყველა ჩვენგანისთვის კარგად ცნობილი ფაქტია. გვნებავს რაიმე?-მივალთ და ვყიდულობთ. ბოლოს და ბოლოს, რაიონში მცხოვრებლებს ათობით კილომეტრი ხომ არ გვაქვს გადასალახავი, რომ ბაზრამდე მისვლა გაგვიჭირდეს?! ის აქვეა და საკმაოდ ფართო არჩევანითაც წარმოგვიდგება, რომ ნებისმიერი პროდუქტი მოვიძიოთ. ჰოდა, ამ ყველაფრის შემდეგ მშვიდობიან მოსახლეობას ებადება კითხვა,-რას ასიგნალებენ ეს დალოცვილი მანქანები ქუჩებში?! რა გახდა?!- ზაფხულია, ვის დასვენება სურს, ვის ძილი, ვის მშვიდად ცხოვრება, ზოგიერთ ოჯახში კი მცირეწლოვანი ბავშვებს უფრთხობენ ძილს და დღის რეჟიმს ურღვევენ.

გათენებას არ დაგაცდიან, დილა არ იციან და საღამო. დილიდან იწყება მანქანებით მოსიარულე ვაჭრების სიგნალი და გვიან საღამომდე არ წყდება. ეს ჩვენს სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს და მიმაჩნია, რომ ამით ჩვენი მყუდროება ირღვევა. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რა ქნას ამ საცოდავმა ხალხმა, სად გაყიდოს პროდუქტიო, მაგრამ,ხომ არსებობს შედარებიტ შორი დასახლებები ან სოფლები, სადაც არც მაღაზიაა და არც ბაზარი. ამიტომ ბევრად უპრიანი იქნება, ვაჭრებმაც იმ სოფლებს მიაკითხონ, პროდუქტის რეალიზაცია იქ მოახდინონ, ჩვენ კი მშვიდი ცხოვრების საშუალება მოგვცენ.

ლალი მეხრიშვილი

# პედაგოგის ტვირთი მძიმეა

დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარი ორი ქალბატონი გახლავთ. მათი ცხოვრება ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს, წარმოიდგინეთ, დაბადებითაც კი. ორივე 28 აგვისტოს — მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე დაიბადა, ორივემ პედაგოგის საპასუხისმგებლო და მძიმე უღელი ხუთი ათეული წელი ატარა, ოჯახი არც ერთს არ შეუქმნია, მაგრამ იმდენი ამაგი აქვთ დახარჯული ძმისშვილ–დისშვილებზე, მრავალშვილიანი დედის წოდება შეიძლება მიანიჭო. მათ პედაგოგობაზე ლეგენდები დადის–მკაცრი, მომთხოვნი, მოუსყიდავი და, რაც ყველაზე მთავარია, თავისი საგნის ბრწყინვალე მცოდნეები: **მარიამ ისაიაშვილი** — დედოფლისწყაროს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი და **ნათელა პოპიაშვილი** – გამარჯვების საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

***

მარიამ, იგივე მანო ისაიაშვილი 1922 წლის 28 აგვისტოს დაიბადა თამარ პოპიაშვილის და ნიკოლოზ ისაიაშვილის ოჯახში. რაჭველი კაცი ყოფილა ნიკოლოზი, ძმასთან ერთად ჩამოსულა და მირზაანში დასახლებულა. მერე ძმას ლაგოდეხი აურჩევია. ნიკას გული შევარდნია მშვენიერ თამარზე და ოჯახიც შეუქმნიათ. 1921 წელს დედოფლისწყაროში გადმოსახლებულან. თამარს მზითევში ვახტანგისეული “ვეფხისტყაოსანი”, ვისრამიანი, თამარიანი, ბუნების კარი და არსენას ლექსი მოუყოლებია. გლეხის ქალი ყოფილა, მაგრამ წიგნის და ცოდნის ფასი კარგად სცოდნია, ცოლ–ქმარს და შემდგომ შვილებსაც „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად სცოდნიათ. სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი გაზარდეს. უფროსმა — სოფომ სამედიცინო ინსტიტუტი აირჩია. ის VI კლასიდან თბილისში სწავლობდა, სულ ფრიადები კი ჰყავდა, მაგრამ რუსულ ენაში ცოტა პრობლემები ჰქონდა. მშობლებმა მასწავლებელი უქირავეს და ენა სრულყოფილად შეასწავლეს. გამოადგა კიდეც. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ტყვეთა ბანაკში დაიწყო მუშაობა და შემდგომ მთელი სიცოცხლე სამხედრო ექიმის უაღრესად მძიმე ცხოვრებით იცხოვრა. დღეს, 93 წლის ასაკში, ის კვლავ მხნე და შრომისუნარიანია. მეორე დამ დარეჯანმა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ მათემატიკის გენეტიკურმა ნიჭმა გადასძალა და ბუღალტერია შეისწავლა. ათეული წლები პროფესიული სასწავლებლების სამმართველოს მთავარი ბუღალტერი იყო. სამი დის ერთადერთი ძმა ვანო ომში რომ გაიწვიეს, ოჯახმა ძლიერ განიცადა, ვანო ომიდან კი დაბრუნდა, მაგრამ ჯანმრთელობაშერყეულმა კარგახანს იავადმყოფა და გარდაიცვალა.

მანო ისაიაშვილი ჩვენი ნარკვევის მთავარი გმირია.მან 1940 წელს დაამთავრა წითელწყაროს ქართული სკოლა და უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი აირჩია. მძიმე იყო ცხოვრება ომის პერიოდში, მით უმეტეს სტუდენტებისათვის.მესამე კურსი რომ დახურა, ქალების ჯარში გაწვევის ეტაპი დაიწყო და.. ომის ყველას ეშინია, იქ წასვლა აბა ვის უხარია, ჰოდა, მანო მასწავლებელმაც დასწრებულიდან დაუსწრებელზე გადაიტანა საბუთები და მშობლიურ რაიონს და სკოლას დაუბრუნდა. კადრი ჭირდა. ექვს საგანს ასწავლიდა, კვირაში 28 საათს ატარებდა. აქედან დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც 53 წელი გაგრძელდა. აქედან 2 წელი სასწავლო ნაწილის გამგეც იყო.

– რთული საქმეა პედაგოგობა, მით უმეტეს, მათემატიკოსობა. ეს საგანი ყველას არ უყვარს, რთულია, ამიტომ დიდი ძალისხმევაა საჭირო, ბავშვი დააინტერესო, გაკვეთილზე დაიჭირო. ჯერ შენს თავს უნდა მოსთხოვო მაქსიმუმი და მერე – ბავშვებს. მიმაჩნია, რომ მათემატიკის ცოდნა ადამიანის ცხოვრებაში ძალიან საჭიროა. ამიტომ ვცდილობდი, ყველა ბავშვს, მეტნაკლებად, სცოდნოდა ეს საგანი. მე ცოტა მკაცრი და მომთხოვნი ვიყავ, მაგრამ არ ვნანობ – გვეუბნება მანო მასწავლებელი და იმ გამორჩეულ მოსწავლეებს იხსენებს, ვინც მის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა: – ძალიან ბევრი ჩემი ნამოწაფარი წარმატებული სპეციალისტი და ხელმძღვანელია. ჩემი გზა გააგრძელეს ეგული ყოჩიაშვილმა, რუსუდან მენთეშაშვილმა, ესმა რობიტაშვილმა, ძლიერი იყო ციური ბენაშვილი, მან დოცენტის ხარისხი და მრავალი წარმატება მოიპოვა. მისმა უდროო გარდაცვალებამ ძალიან მატკინა გული, 1960 წელს ჩვენი სკოლა დაამთავრა ევტიხი (ლუტო) მაჭავარიანმა. მამამისი ჩვენთან რაიკომის მესამე მდივანი იყო. დღეს ის აკადემიკოსია, მათემატიკის ყველაზე რთულითერმო-დინამიკის განხრით, 250 გამოგონების ავტორია. ტექნიკურ უნივერსიტეტში კათედრის გამგედ მუშაობს. 85 წლისთავზე ის თემზარ ზურიკაშვილთან, რომელიც ასევე ძალიან ძლიერი მოსწავლე იყო, და რამდენიმე სხვა ახალგაზრდასთან ერთად მოულოდნელად სახლში მეწვია, მადლობა მითხრა ამაგისათვის, მომიკითხა და დამპირდა, 90 წლისთავზე აუცილებლად გეწვევიო. არ დამავიწყდება არსენიკო ბაღაშვილი, მას ძალიან კარგი გონება ჰქონდა და ისეთი ლამაზი იყო, სულ გინდოდა, მოფერებოდი.



მანო ისაიაშვილი

*– თქვენი “მქუხარე” სახელის შემდეგ როგორი ცვლა დატოვეთ სკოლაში?*

– 53 წელი გაატარო სკოლაში ცოტა არ არის. ასაკმა, შუალამემდე რვეულების სწორებამ და ციფრების ჩაყურებამ თავისი დაღი დამასვა – მხედველობამ მიმტყუნა და დავემშვიდობე ჩემს საყვარელ ბავშვებს, ჩემს პროფესიას. სკოლიდან წამოსულს გული საგულეს მქონდა, რადგან ჩემი შემცვლელი საუკეთესო კადრი დავტოვე. თამარ ფხოველიშვილი ჩემი ნამოწაფარი და გაზრდილია. მთელი წელი, ვიდრე საათებს მისცემდნენ, ჩემს გაკვეთილებს ესწრებოდა და თეორიულ ცოდნას პრაქტიკაშიც იღრმავებდა. მარინა მილაშვილს, მართალია მე არ ვასწავლიდი, ის ცხონებული ჯულიეტა სარიშვილის მოსწავლე იყო, მაგრამ დავახასიათებ როგორც მათემატიკის საუკეთესო მცოდნეს, ფენომენალური გონების პატრონს. მათი სახით მე ჩემი საქმის საიმედო გამგრძელებლები დავტოვე.

*– კოლეგებიდან ვის გაიხსენებთ?*

– ჩემი მოღვაწეობის დასაწყის წლებში ჩვენს რაიონში ძმები ჩინჩალაძეები მუშაობდნენ – ვალოდია განათლების განყოფილების გამგე იყო, მიხეილი ქართული სკოლის დირექტორი. ის ქართული ენა–ლიტერატურის უბადლო სპეციალისტი იყო, პედაგოგად დაბადებული, ტაქტიანი ხელმძღვანელი, უბრალო, არა პატივმოყვარე, ტკბილმოუბარი, რომელიც საკუთარი მაგალითით გვასწავლიდა, როგორი უნდა ყოფილიყო მასწავლებელი.

*– მიუხედავად იმისა, იყავით ძალიან ლამაზი, განათლებული, ოჯახი მაინც არ შექმენით, რატომ?*

– ცხოვრება ბედია, თუმცა, ბედს ხელი შენც უნდა წააშველო. არა, მარტო წუნიაობის გამო არ დავრჩი გაუთხოვარი, ჯერ ერთი ხანდაზმულ ასაკამდე მშობლებს ვუვლიდი და ვმეურვეობდი, მერე დისშვილს და ძმისშვილებს. თანაც, ჩემი თაობის საუკეთესო ბიჭები ომმა შეიწირა. ახლა, ცოტა არ იყოს, ვნანობ, მაგრამ რაღა დროს? ამიტომ ვურჩევ გოგონებს, აუცილებლად შექმნან ოჯახი და სამშობლოს ბევრი შვილი გაუზარდონ. ის დღეს ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება.

*– როგორ ცხოვრობთ ახლა?*

– მეუბნებიან, ამხელა ქალს დანაზოგი როგორ არა გაქვსო. დანაზოგი, რომელიც საბჭოთა წყობილების დროს დავაგროვე, მაშინდელმა მთავრობამ შემიჭამა, მას მერე კი დღიდღიურად ძლივს გამაქვს თავი, რით უნდა დავაგროვო?! პენსია პურის და წამლის ფულადაც არ მყოფნის. არ არის სამართლიანი, 53 წლიანი სამუშაო სტაჟის მქონეს პენსიაზე მხოლოდ 10 ლარი რომ მემატება. ვხედავ, ქვეყანაში შემოსავლების არასწორი განაწილებაა, ზოგს ათასობით და ათიათასობით ლარი აქვს ხელფასი, ზოგს – 100 და 200 ლარი, პენსია ხომ - მიზერულია. ქართველ კაცს ყველაზე მეტი პური სჭირდება. რომ მიუშვეს ეს საქმე და ვისაც როგორ უნდა ისე აცხობს და ჰყიდის, ხომ შეიძლება სახელმწიფოსაც ჰქონდეს ერთი პურის მაღაზია, სადაც იაფი და ხარისხიანი პური გაიყიდება?!

*– რა, არ მოგწონთ ეს მთავრობა?*

–არა, რას ამბობთ, პირიქით, მე გულწრფელად მიყვარს ჩვენი პრეზიდენტი, ძალიან ენერგიული და ყოჩაღია, მან გაიტანა ჩვენი სახელი მსოფლიოს არენაზე, რამდენი რამ შენდება, კეთდება, ამის დაუნახაობა შეუძლებელია, მაგრამ „მოყვარეს პირში უძრახეო“, ხომ გაგიგონიათ, მეც იმიტომ ვამბობ. ახლა ცოტა შეღავათი გვექნება სამედიცინო დაზღვევით და მედიკამენტებისათვის თანხის გამოყოფით, მაგრამ მაინც არ იქნება საკამრისი. ადამიანი ხომ მაინც იმედით ცოცხლობს ყველა ასაკში.

იმედი ნუ მოგიშალოთ, მანო მასწავლებელო! და ვიდრე 28 აგვისტოს მანო მასწავლებელს თავისი გაზრდილები ესტუმრებიან, მთელი რაიონის და მისი გაზრდილების სახელით ჩვენ ვულოცავთ 90 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას, ქვემოთ კი გთავაზობთ ბატონ ევტიხი (ლუტო) მაჭავარიანის ლექსს, რომელიც მან 2007 წელს 85 წლისთავზე მიუძღვნა თავის უსაყვარლეს მასწავლებელს.

***ვუძღვნი ქალბატონ მანო ისაიაშვილს, ჩემს უსაყვარლეს და უსათნოეს მასწავლებელს!***

ჰატიოსნების, სიკეთის,  
მასწავლებლის და მანდილის,  
თქვენ ხართ სიმბოლო ყველასათვის,  
სწავლის თუ ჰქონდა წადილი.  
თქვენ გვაზიარეთ ლოგიკას,  
თეორემას და სინუსებს,  
სწავლით მიღწეულ სიმდიდრეს,  
ადამიანურ ჰლიუსებს.  
მასწავლებელო! ღმერთსა ვთხოვ,  
დიდხანს გამყოფოთ კარგად,  
მტრისათვის თვალის სათხრელად,  
ჩვენთვის მისაბამ თარგად.  
მახსოვს თქვენი კოხტა სახე,  
ღაწვები აწითლებული,  
წახალისების ღიმილი,  
დასჯისას კი ხმა, ქებული.  
სულ თვალწინ მიდგას ყოველი  
მასალა, თქვენი ახსნილი,  
თქვენი „ბრალია“ თუ ოდნავ,  
ვარ მე გონებაგახსნილი.  
თუმცა ჭკუას არ ვემდური  
მხიარულების სფეროში,  
კახეთში რომ არ მესწავლა,  
დავიხრჩობოდი ფეროში.

***

მეორე პერსონაჟი, რომელზეც ამ რუბრიკაში გვინდა გესაუბროთ, როგორც ზემოთაც ვთქვით, სოფელ გამარჯვების სკოლის გეოგრაფიის პედაგოგი ნათელა პოპიაშვილია. ნათელა მასწავლებელს გვარით არც არავინ მოიხსენიებს, მას „კოტეს გოგო ნათელა“ ჰქვია. მის სიმკაცრეზე დაუჯერებელ, ანეგდოტურ ამბებს ჰყვებიან. “მოცუცქნული” ვიყავიო, ასე ახასიათებს თავის თვალტანადობას ქალბატონი ნათელა. ჰოდა, როცა ერთმა საკმაოდ ტანმაღალმა მეთერთმეტეკლასელმა ბიჭმა საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მოსკოვი რუკაზე ვერ იპოვა, ფართო ხელისგული რუკას დაადო და გამწარებულმა თქვა: აქ სადღაც იყო ეგ ოხერი და რა იქნაო, ნათელა მასწავლებელმა ვეღარ მოითმინა და რადგან ისე ვერ სწვდებოდა, სკამზე შედგა და ყური ისე აგლიჯაო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ ხომ გაგიგონიოათ, ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, შიგ სიმართლე არ ერიოსო. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ ნათელა მასწავლებელი ძალიან მომთხოვნი, მკაცრი და უკომპრომისო იყო უცოდინარ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. უდისციპლინობას ვერ იტანდა, თავის თავსაც სთხოვდა და სხვებსაც. მისი გაცდენილი გაკვეთილი არავის ახსოვს. ეს ამბავი კი მე თავად გადამხდა. ერთხელ, კვირა დღეს თბილისში წასული ორშაბათ დილით უკან მატარებლით ბრუნდებოდა. მატარებელმა ხუთიოდე წუთით დაიგვიანა, ხუთი წუთიც გაჩერებიდან სკოლამდე მოსავალს სჭირდებოდა. ათი წუთი რომ გავიდა და მასწავლებელი არ შემოვიდა, ჩვენ ფეხაკრეფით გამოვედით სკოლის ეზოში და ის იყო ჭიშკარში უნდა გამოვსილიყავით, რომ გზაზე თითქმის სირბილით მომავალი ნათელა მასწავლებელი დავინახეთ. გავშეშდით, სასწრაფოდ შევბრუნდით საკლასო ოთახში. ის შემოვიდა, მკაცრად გადაგვხედა და გამოსცრა: ვიდრე არ გაიგებთ, ნათელა მასწავლებელი მოკვდა და გაშეშებულს არ მნახავთ, არც იოცნებოთ, რომ გაკვეთილი გაგიცდებათო და ჩვეული რიხით გააგრძელა გაკვეთილი.

ეს ორიოდ სახალისო შტრიხი იმიტომ წავუმძღვარე წერილს, რომ მეჩვენებინა თქვენთვის ამ ენერგიით სავსე, გაუტეხელი ადამიანის სახე, რომლისთვისაც სამსხური და თავისი პროფესია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც დღემდე სიცოცხლის და ხალისის ეტალონია გარშემომყოფებისათვის.

ნათელა პოპიაშვილი 1928 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს დაიბადა. რიგით მეორე ქალიშვილი იყო თავისი მშობლების, მაგრამ უფროსი გოგონა, რომელიც 8 წლის ასაკში გარდაიცვალა, კოლექტივიზაციის მკაცრ პროცესს შეეწირა. კოტე პოპიაშვილს საუკეთესო ორუღელა ხარები ჰყავდა, კოლმეურნეობაში მათი შეყვანა არ უნდოდა, ამიტომ დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. გოგონამ დაინაღვლა, მამის უნახაობას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ასეთი რამეებიც ხდებოდა იმ „უმტკივნეულო“ კოლექტივიზაციის დროს. ნათელას შემდეგ სამი ვაჟი – გივი, შურა და ნუგზარი დაიბადნენ. შვიდი კლასი უზუნდრის სკოლაში დაამთავრა, მერე წითელწყაროსა და ჯუგაანში სწავლობდა მამიდების მეურვეობის ქვეშ.

- ტანად პატარა ვიყავ. მასწავლებლობაზე არც მიფიქრია. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ პედაგოგი ტანადი და ლამაზი უნდა იყოს, რომ პირველივე შეხვედრისას ბავშვებზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინოს. ამიტომ სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტიკის ფაკულტეტზე ვაბარებდი. რუსული ენა სოფლელებისთვის “აქილევსის ქუსლი” იყო და მეც რუსულ კარნახში ჩავიჭერი. მამას მასწავლებელი “დიდი ფიგურა” ეგონა და დაჟინებით მთხოვა, ჩამებარებინა პედაგოგიურზე.

*(დასასრული მე-6 გვერდზე)*



ნათელა პოპიაშვილი

# ხანძრის დროს ნაგავსაყრელზე ძროხები დაიხოცა

***ქალაქ დედოფლისწყაროში, სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელს ცეცხლი რამდენიმე დღის განმავლობაში ეკიდა. დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახური შემთხვევის ადგილზე რამდენჯერმე იმყოფებოდა, თუმცა ნაგავსაყრელი კვლავ იწვოდა. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ხანძრის დროს ორ ადგილობრივ ოჯახს საკუთარი მსხვილფეხა პირუტყვი ნაგავსაყრელზე დახოცილი დახვდა. ისინი მნიშვნელოვან ზარალზე საუბრობენ.***





ცეცხლი მიმდებარე ტერიტორიაზეც გავრცელდა, რის შედეგადაც ხმელი ბალახი და ბუჩქები დაიწვა.

დედოფლისწყაროში მცხოვრები, დაზარალებულ შოთა გოგოჭურის ოჯახი აცხადებს, რომ მათი ძროხა საღამოს შინ აღარ დაბრუნდა, მოძებნეს და გადამწვარ ნაგავსაყრელზე მკვდარი იპოვეს.

„რამდენიმე დღის წინ ამ ძროხაში 1 000 ლარს გვიხდიდნენ, თუმცა არ გავყიდეთ, რადგან ოჯახს შენახვა უნდა. სრულიად ჯანმრთელი ძროხა საბალახოდ გავუშვით და მკვდარს მივაგენით. ამხელა ზარალი მივიღეთ, არადა, უმუშევრები ვართ და ორი სტუდენტი შვილი გვყავს. ვერ გეტყვით, დანამდვილებით არ ვიცით, საქონელი ხანძრისა და ბოლის შედეგად დაიხოცა, თუ რაიმე შხამიანი ჭამეს. ფაქტია, რომ ჩვენ და კიდევ ერთ ოჯახს მარჩენალი პირუტყვი დაგვეხოცა,“ — აცხადებენ გოგოჭურები.

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ნაგავსაყრელიდან ბოლი პირდაპირ დასახლებაში მიდის, რის გამოც ადგილობრივები აუტანელ ყოფაზე საუბრობენ. მათი განმარტებით, მეხანძრეებმა თქვეს, რომ დამოუკიდებლად ხანძარს ვერ აქრობენ, პრობლემას ტრაქტორით მიწის მიყრა ესაჭიროება და შემთხვევის ადგილი დატოვეს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ეკობანაკი კლიმატის ცვლილების საკითხებზე ბულაჩაურში

ბულაჩაურის მწვანე ცენტრში 12—19 აგვისტოს CENN-ის მოსწავლე—ახალგაზრდებისათვის ჩატარდა საგანმანათლებლო ეკობანაკი, რომლის მიზანი იყო მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკითხებზე და ასევე მოქალაქეთა ჩართულობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

როგორც გაზეთ „შირაქს“ ორგანიზაციიდან აცნობეს, ეკობანაკში მონაწილეობა მიიღო 20-მა მოსწავლემ დედოფლისწყაროს, ხელვაჩაურის, ქედას, ბორჯომის, ახალციხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებიდან.

ლექცია-სემინარების გარდა შედგა ექსკურსია გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ვაშლიჯვარის მეტეოსადგურში, სადაც მონაწილეები გაეცნენ ამინდის პროგნოზირების თანამედროვე სისტემის ფუნქციონირებას. აგრეთვე ჩატარდა ლაშქრობა ბულაჩაურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ეკობანაკის მონაწილეები შეირჩა კონკურსის — „ჩემი მწვანე ინიციატივა“ საფუძველზე, რომელიც გამოცხადებული იყო CENN-ის ეკობანაკების კურსდამთვრებული მოსწავლეებისათვის. კონკურსში მონაწილეობისათვის მოსწავლეებს საკონკურსო სამუშაოში უნდა წარმოედგინათ ის გარემოსდაცვითი ინიციატივები, რომლებიც მათ CENN-ის ბანაკებში მიღებული ცოდნის საფუძველზე განახორციელეს.



ეკობანაკი ჩატარადა პროექტის „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“ (CCADM) ფარგლებში, რომელსაც CENN საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ამას გარდა, ლორის მარზას ადგილობრივი სამუშაო ჯგუფის პირველი მრგვალი მაგიდა პოექტის „ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში.

2012 წლის 10 აგვისტოს, ვანაძორის გამგეობაში, ლორის მარზას ადგილობრივი სამუშაო ჯგუფისთვის პირველი მრგვალი მაგიდა გაიმართა თემაზე კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია, კატასტროფების რისკის შემცირება და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია. შეხვედრა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი. CENN-ის ღონისძიება მომზადდა CENN-ის სომხეთის ეროვნული წარმომადგენლის Green Lane NGO—ს მიერ, რომელსაც მხარი დაუჭირა ლორის მარზას გამგეობამ და სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტმა.




ღონისძიება დაიწყო პროექტის „ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში“ მიღწევებისა და მიმდინარე აქტივობების ზოგადი მიმოხილვით. შემდეგ კი მოხდა კლიმატის შედეგად გამოწვეული ბუნებრივი სტიქიური მოვლენების, გარემოსდაცვითი პრობლემების და არსებული საადაპტაციო საშუალებების იდენტიფიცირება ლორის მარზაში. შესაბამისი პრობლემური საკითხების განსაზღვრა მოხდა თანამონაწილეობრივი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა „ისტორიული პროფილი“, „სეზონური კალენდარი“, „მოწყვლადობის (პრობლემების) მატრიცა“ და „საადაპტაციო პრაქტიკა“.

ადგილობრივი სამუშაო ჯგუფი შედგებოდა ლორის მარზას თითოეული ქვე-რეგიონის წამომადგენლებისგან, კერძოდ კი სამთავრობო, ბიზნეს და კერძო სექტორებისგან, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეხვედრისას გამართულ დისკუსიაში და მათი რეგიონისთვის დამახასიათებელი პრობლემების განსაზღვრაში.

ილია მარტყოფლიშვილი

# პედაგოგის ტვირთი მძიმეა

*(დასასრული)*

ხათრი ვერ გავუტეხე, ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ომის და ომისშემდგომი წლები ძალიან მძიმე იყო. 1949 წელს დავამთავრე უმაღლესი და ჩემს სკოლას დავუბრუნდი. აქ გავატარე 47 წელი. უმაღლესი განათლების პირველი დიპლომები მე და აწ განსვენებულმა თინა გონაშვილმა მოვიტანეთ სოფელში. ჩემი შიში, რომ პატარა ტანის ვიყავი და ბავშვებს ვერ დავიმორჩილებდი, არ გამართლდა, მთავარი მხოლოდ აღნაგობა კი არა, მთავარი ის არის საფუძვლიანად იცოდე შენი საგანი, ასწავლო და მოსთხოვო ობიექტურად. ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა ჩემს გაკვეთილზე. ერთხელ, როცა სასწავლო ნაწილის გამგე ვიყავ სკოლაში (ორი ათეული წელი უძღვებოდა სასწავლო პროცესს ნათელა მასწავლებელი), კაცი მასწავლებელი მოვიდა და მითხრა, მოსწავლეები ჩემს გაკვეთილზე მზესუმზირას სჭამდნენო. გამებრაზა და დავტუქსე, არა გრცხვენია, ამხელა კაცს კლასში დისციპლინა მე უნდა მიგიგვარომეთქი?... ობლის და ღარიბის ქომაგი ვიყავ მუდამ და მიუხედევად ჩემი სიმკაცრისა და შეუპოვრობისა, ვგრძნობ, რომ ბავშვებს მაინც გულწრფელად ვუყვარდი. ბედის მადლობელი ვარ, რომ ფარმაცევტი კი არა მასწავლებელი გამოვედი, იმაზე ბედნიერება არაფერია, წლების შემდეგ შენი ნამოწაფარი რომ შეგხვდება, გულში ჩაგიკრავს, მოგეფერება და აღტაცებით გეტყვის, როგორ ბრძანდებით ნათელა მასწავლებელო.

იმის დასტურად კი, როგორ უყვართ და არ ივიწყებენ ყოფილი მოსწავლეები, ის ბარათები ლაპარაკობენ, რომლებიც მრავლად არის ამაგდარი პედაგოგის პირად არქივში. ნათელა მასწავლებელო, გილოცავთ დაბადების დღეს, იყავით მუდამ ბედნიერი და ჯანმრთელი. თქვენს უანგარო ღვაწლსა და ამაგს თაობები დააფასებენ, ვეცდები, ვიყო პატიოსანი და სასახელო ადამიანი - ესეც ხომ თქვენი სიხარულია!" – სწერს თბილისიდან უზენაესი საბჭოს წევრი დალი ფიროსმანაშვილი. აქვეა მილოცვები თბილისიდან ვარდიკო არაბულის, ცისმარ ღორაშვილის, ელენე ივანიძის, ნონა ზედელაშვილის, თელავიდან ასმათ მირიანაშვილის, ლაგოდეხიდან ციური გოზალიშვილის, თავწყაროდან გოდერძი წიკლაურის, ყველას ვერ ჩამოვთვლი. - „გმადლობთ, ნათელა მასწავლებელო, თქვენი დამსახურებაა, რომ მთელ სამხედრო ნაწილში ჩემსავით არავინ იცის რუკა, ოფიცრებმაც კი", - სწერს ი.ფიროსმანაშვილი საბჭოთა ჯარის ნაწილიდან.

- ის, რომ ოჯახი ვერ შევქმენი, ბედისწერაც არის. სამი ძმის და მათი შვილების მეურვეობამ, მოხუცი მამის მიმართ ვალდებულებამ არც კი მომცა იმაზე ფიქრის დრო, ოჯახი რომ შემექმნა. „ალხანას ჩალხანა არ დაელევაო“, ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, მეც მყავდნენ ჩემი „ჩალხანები“ მაგრამ.. ცოტა ჯიუტი და წუნიაც ვიყავ! მადლობა ღმერთს, 84 წლის ასაკში ჩემს თავს მე ვუვლი, იქეთ ვეხმარები ჩემი ძმების ოჯახებს, ოთხმოცდაოთხი წელია, ჩემი მამა-პაპის ფუძეზე ვცხოვრობ და მუდამ მახსოვს, არ შევარცხვინო მათი სახელი – ამბობს ქალბატონი ნათელა.

- ნათელა მასწავლებელო, თქვენ მუდამ ეამაყებოდით თქვენს გვარს, გამარჯვების სკოლის ყველა კურსდამთავრებულის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს. მადლობა იმ ამაგისათვის, რაც მომავალი თაობების აღზრდას შეალიეთ, იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი თქვენს ახლობლებთან ერთად.

ნაირა გორაშვილი

# ღვთისმშობლის მიძინება და სასწაულები

ქრისტეს ამაღლებიდან მარიამ ღვთისმშობელი ადიდებდა თავის ძეს და ემსახურებოდა თავისი ძის ტაძარს. როდესაც აღსასრულის დრო მოახლოვდა, იოანე ღვთისმეტყველის სახლიდან გამოსული, სადაც ცხოვრობდა, ავიდა ელეონის მთაზე და იქ თავის ძეს სული თვისი შეავედრა. ლოცვის დროს ყველა მცენარე იხრებოდა და თაყვანს სცემდა უფლის დედას.მიძინებამდე სამი დღით ადრე მას მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და აუწყა გარდაცვალების დღე, რომ უფალი, მისი ძე ელოდა მას ქერუბიმებთან და სერაფიმებთან ერთად. თან მისცა სამოთხის ბაღიდან ზეთისხილის რტო, რომელიც ნათელს გამოსცემდა. ღვთისმშობელმა სთხოვა მთავარანგელოზს, ეთხოვა მისი ძისთვის და უფლისთვის, რომ შეეკრიბა მოციქულები.ხილვის შემდეგ ის ტოტით ხელში დაბრუნდა სახლში იოანე ღვთისმეტყველთან ერთად და აუწყა ნანახი. იოანემ შეატყობინა იაკობს, უფლის ძმას, რომელიც პირველი იერარქი იყო. დედეამ ღვთისამ თქვა დღე, როცა დატოვებდა წუთისოფელს და დაიბარა, დაეკრძალათ გეთსამანიაში, სადაც დაკრძალული იყვნენ მისი მშობლები — იოაკიმე და ანა, იოსებ დამწინდველი. მიძინების დღისთვის შეიკრიბა ყველა მოციქული, რომლებიც ანგელოზების მიერ ზეციური ღრუბლით იყვნენ მოყვანილნი.როდესაც ღვთსიმშობელმა გაიგო მოციქულების ამგვარი შეკრება, ადიდა ღმერთი.

დადგა 15 აგვისტო. უცებ ტაძარი განათდა და მაცხოვარი ანგელოზებთან ერთად თავისი ღვთაებრივი ბრწყინვალებით იხილა ყველა იქ მყოფმა. ღვთიმშობელმა თავის ძეს უთხრა:"ღმერთო, მზად არის ჩემი გული. დაე, აღსრულდეს შენი სიტყვა!" და "უბიწო სული თვისი შეავედრა უფალს". უფალმა კი მისი წმინდა სული ანგელოზებთან ერთად ზეცაში აიტაცა. ანგელოზები გალობდნენ. მოციქულებმა იხილეს ეს სასწაულებრივი მსვლელობა, როდესაც ღვთსიმშობლის სულის ამაღლება დასრულდა, მისი სხეული და სახე ანათებდა, როგორც მზე. ვინც კი ეხებოდა მის წმინდა გვამს, იკურნებოდა.ამის შემდეგ მოციქულებმა პეტრე, პავლე და იაკობმა აღიღეს მისი სხეული და წააბძანეს გეთსანანიისკენ. ხოლო იოანე წინ მიუძღოდასამოთხის ყლორტით ხელში. გზაში მრავალნი მოიქცნენ შეშმარიტი სარწმუნოებისაკენ და მრავალი სასაწაული აღესრულებოდა. როდესაც მისი სხეული სამარხში ჩააბრძანეს, იერუსალიმში მოვიდა თომა მოციქული. მწარედ ატირდა, რომ დაიგვიანა და ვერ შეძლო ღვთისმშობლის წმინდა გვამთან გამოთხოვება. დანარჩენ მოციქულებს შეეცოდა თომა და გახსნეს ღვთიმშობლის საფლავი, მაგრამ შიგ მხოლოდ შესამოსელი იხილეს, გვამი არსად იყო. მოციწულები განცვიფრდნენ. მათ ღვთისმშობელის შესამოსელი დაინაწილეს, როგორც სიწმინდე. საღამოს შეევედრნენ უფალს: გაეხსნა საიდუმლო, თუ სად წავიდა ღვთისმშობლის გვამი. დასხდნენ სატრაპეზოდ. ჩვეულებრისვ ისინი პურის ნატეხს ტოვებდნენ ღვთის სახელზე და ტრაპეზის დამტავრების შემდეგ ადიდებდნენ წმინდა სამებას. მიმართავდნენ უფალს შემდეგნაირად:" უფალო იესო ქრისტე, შეგვეწიენ ჩვენ!" მაგრა მაშინ ტრაპეზის შემდეგ აიღეს უფლის სახელზე დატოვებული პური, მაღლა აღმართეს, თან აზრი იმის შესახებ თუ სად არის ღვისმშობლის სხეული,არ ტოვებდა მათ. უცებ მოესმათ ანგელოზების გალობა. იხილეს ღვთისმშობელი ანგელოზებს შორის. ღვთისმშობელმა უთხრა:" გიხაროდენ,რამეთუ მე თქვენთან ვარ ამიერიდან და უკუნისამდე".გახარებულმა მოციქულებმა შეჰღაღადეს: "ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო, შეგვეწიენ და გვაცხოვნენ ჩვენ."



მისი მიძინების დღე აღინიშნება ახალი სტილით 28 აგვისტოს.

### მიძინების დღესასწაულის დაარსება და შემდგომი ტრადიცია

ზუსტად უცნობია, თუ როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი უკვე არსებობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში.

წმინდა მამათა ნაშრომები, სადაც ღვთისმშობლის მიძინებაზეა საუბარი, IV საუკუნის ბოლოს არ სცილდება. ამათგან ერთ-ერთი ნეტარ იერონიმეს მიეწერება. სხვა ცნობა, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, იერუსალიმის ეპისკოპოს მოდესტოსს ეკუთვნის.

ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ნიკიფორე კალისტოსის (გ. დაახ. 1350) ცნობით, მიძინების დღესასწაულის აღნიშვნა მავრიკიოსის (დაახ. 539–602) მეფობის დროს, 582 წელს დაწესებულა, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ მავრიკიოსის დროს უკვე არსებული დღესასწაულის აღნიშვნა დაკანონდა. ამ ცნობის მიხედვით, 595 წლიდან დღესასწაულის აღნიშვნა დაწესდა 15 აგვისტოს, ამ დღეს მავრიკის სპარსელებზე გამარჯვების აღსანიშნავად.

შემორჩენილია მიძინების დღესასწაულისადმი მიძღვნილი V საუკუნეში მოღვაწე ანატოლი პატრიარქის ერთი საეკლესიო საგალობელი. ამავე დღესასწაულს ეძღვნება საგალობლები, რომლებიც კოზმა მაიუმელსა (VIII ს.) და იოანე დამასკელს (VII—VIII სს.) მიეკუთვნება.[4]

### მარიამობის მარხვა

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება, როგორც ქერუბიმებზე უპატიოსნესი და სერაფიმებზე აღმატებული. ამიტომ, ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მიაგებს დედას ღვთისას. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან ერთ—ერთს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებას, ეკლესია მარხვით ხვდება.

მარიამობის მარხვა 1 (ახ. სტ.14) აგვისტოდან იწყება და 15 (ახ. სტ. 28) აგვისტოს მთავრდება. ეკლესიის ისტორიაში ამ მარხვის დაწესების ზუსტი თარიღი უცნობია.

ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიაში, მათ შორის ანტიოქიაშიც, ამ მარხვას კი ინახავდნენ, მაგრამ იგი სავალდებულო არ იყო, ამასთან, ხშირად განსაზღვრული არც მარხვის აღნიშვნის ზუსტი კალენდარული დრო გახლდათ - იგი ინდივიდუალურად, მწყემსმთავართა ლოცვა-კურთხევით აღესრულებოდა. იერუსალიმის კანონში მარიამობის მარხვა რვა დღით შემოიფარგლება, სტუდიის მონასტრის ტიპიკონით კი ოთხი დღე გრძელდებოდა.

როგორც საისტორიო წყაროები და სამართლებრივი ძეგლები გვაუწყებენ, საუკუნეების მანძილზე მარიამობის მარხვის შენახვა ყველა ავტოკეფალური ეკლესიის ტრადიციას არ წარმოადგენდა. მსოფლიო მართლმადიდებელმა სამყარომ დღესასწაულის მარხვით საყოველთაო აღნიშვნა მოგვიანებით, დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან დაიწყო. ანასტასი კესარიელის ცნობით, მარიამობის მარხვა საყოველთაო მარხვად დაახლოებით ლეონ ფილოსოფოსის მეფობის (886—912) დროს დაწესებულა, ანუ მას შემდეგ, რაც ამ დღესასწაულმა საეკლესიო კალენდრებში კუთვნილი ადგილი დაიკავა. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ანტიოქიის ეკლესიაში მიძინების მარხვა 1060 წელს პატრიარქ იოანე VI—სა და იმპერატორ კონსტატინე დუკას გადაწყვეტილებით დადგინდა.

ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ანტიოქიის ცნობილი პატრიარქი თეოდორე ბალსამონი (1193–1199) სამწყსოსადმი მიძღვნილ ეპისტოლეში მიძინების მარხვის შენახვის აუცილებლობის შესახებ წერდა.

რაც შეეხება დღეისათვის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაწესებულ მარხვას, იგი 1166 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე „ძველ განწესებათა თანახმად“ დაკანონდა. კრების თავმჯდომარე პატრიარქი ლუკა (1157–1170) ყოფილა. ამ კრების შესახებ ბალსამონი წერს: „იმ დროისათვის ორჭოფობდნენ, თუ რამდენი დღე უნდა გაგრძელებულიყო მიძინებისა და შობის მარხვები, რაზეც წმიდა პატრიარქმა დაამოწმა: „მართალია, წერილობით არსადაა დაფიქსირებული ამ მარხვების ხანგრძლივობა, მაგრამ გადმოცემის საფუძველზე ერთი - პირველ (ახ. სტ. 15) აგვისტოს, მეორე კი თხუთმეტ (ახ. სტ. 28) ნოემბერს უნდა დაიწყოს“

## მონატრება

### გიორგი (გია) ირემაძე



ჩვენო გია, ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ ჯერ ისევ გვიჭირს იმის დაჯერება, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ. ისეთი კეთილი, შრომისმოყვარე და ხალისიანი იყავი, რომ შენი სიკვდილი ყველასთვის მეხის გავარდნას ჰგავდა. 28 წლის ასაკში მოასწარი,ყველასთვის თავი შეგეყვარებინა, რადგან ყოველთვის ნახულობდი დროს, სხვებს გვერდში ამოსდგომოდი, ყველას გაჭირვების ტალკვესი ყოფილიყავი. შენი მოკლე, მაგრამ ნათელი ცხოვრებით ყველას გულში ასეთივე ნათელი კვალი დატოვე. შენი შვილი, ერთი წლის ავთანდილი უმამოდ დატოვე, რომლის აღზრდაც ამიერიდან მამაშენსა და მე მოგვიწევს. იმის იმედით ვცოცხლობ, რომ შენი სული სასუფეველს დაიმკვიდრებს.

შენი მეუღლე
ნატო ლეკიშვილი

---

თენგიზ გონაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს მანანა ბიკაშვილს, ნათია და ლევან უზუნაშვილებს
ნოდარის
გარდაცვალების გამო.

## ტ ე ს ტ ი

# რამდენად ოპტიმისტი ხართ?

***ადამიანებს, პიროვნული თვისებების შესაბამისად, სხვადასხვაგვარად აქვთ გამოხატული ოპტიმიზმის ან პესიმიზმის განცდა. ერთნი გამოუსწორებელი ოპტიმისტები არიან, მეორენი, მუდამ პესიმისტურ ტალღაზე მომართულნი, მოვლენათა რეალური შეფასებისა და საღი ანალიზის უნარსაც კი კარგავენ. ფსიქოლოგიური ტესტი დაგეხმარებათ, განსაზღვროთ, რამდენად ოპტიმისტი ხართ. ტესტის შეკითხვებს პასუხის 4 ვარიანტი (ა, ბ, გ, დ) აქვს. უნდა აირჩიოთ მხოლოდ ერთი.***

1. როგორ სიზმრებს ხედავთ?
ა) დრამატულს (საშინელს);
ბ) გაურკვეველსა და უცნაურს;
გ) სასიამოვნოს;
დ) ძირითადად ეროტიკულს.

2. რაზე ფიქრობთ ყველაზე ხშირად დილაობით, ახალგამოღვიძებული?
ა) იმაზე, როგორი ამინდი იქნება;
ბ) საყვარელ სამუშაოზე;
გ) სამუშაოზე, რომელიც არ გიყვართ, მაგრამ უნდა შეასრულოთ;
დ) საყვარელ ადამიანზე.

3. როგორ საუზმობთ ჩვეულებრივ?
ა) სუფრის გაწყობით, რასაც გარკვეულ დროს უთმობთ;
ბ) საუზმობისას ჩივით იმაზე, რომ ვერ გამოიძინეთ;
გ) საუზმობისას გიყვართ საუბარი;
დ) ჩქარ-ჩქარა საუზმობთ, რადგან ხშირად გაგვიანდებათ.

4. როდესაც გაზეთს კითხულობთ, უპირველესად რაზე ამახვილებთ ყურადღებას?
ა) პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიახლეებზე;
ბ) სპორტის სიახლეებზე;
გ) კულტურის სფეროს მასალებზე;
დ) იუმორისტულ ჩანართებსა და ნაკვესებზე.

5. როგორ რეაგირებთ საგანგებო მოვლენის, სკანდალისა თუ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ამოკითხვისას?
ა) არანაირად არ რეაგირებთ, ეს თქვენ არ გაინტერესებთ;
ბ) წუხხართ და ნერვიულობთ, რომ მსგავსი რამ თქვენ არ შეგემთხვათ;
გ) ბრაზობთ და აღშფოთებას გამოთქვამთ იმის გამო, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებს არ შესწევთ მსგავსი ფაქტების აღკვეთის უნარი;
დ) მომხდარ ფაქტს განიხილავთ როგორც ნორმალურ, მოსალოდნელ, ჩვეულებრივ შემთხვევას.

6. როგორ იქცევით უცნობ ადამიანთან შეხვედრისას?
ა) უყოყმანოდ ენდობით;
ბ) ელოდებით, რომ ის რაღაცას გკითხავთ;
გ) ინტერესით აკვირდებით მას;
დ) თვალყურს ადევნებთ, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესის გარეშე.

7. რას აკეთებთ მაშინ, როცა შენიშნავთ, რომ ვიღაც საგულდაგულოდ გათვალიერებთ ქუჩაში, მეტროში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას?
ა) მღელვარება გეუფლებათ იმის გამო, რომ რაღაც წესრიგში არ გაქვთ ან სასაცილოდ გამოიყურებით;
ბ) არ გსიამოვნებთ, ეს ცუდად მოქმედებს თქვენზე;
გ) იყურებით სარკეში, ეძებთ მინას, რომ დაინახოთ საკუთარი გამოსახულება;
დ) ყურადღებასაც კი არ აქცევთ ასეთ ფაქტს.

8. როდესაც საჭირო მისამართს ეძებთ უცხო ქალაქში, გირჩევნიათ:
ა) დაიქირაოთ ტაქსი;
ბ) ჰკითხოთ ამის შესახებ ნაცნობებს;
გ) თავად ცდილობთ მიგნებას;
დ) მუდმივად შიშობთ, რომ ვერ იპოვით, ვერ მიაგნებთ.

9. როგორი ფიქრებით იწყებთ სამუშაო დღეს?
ა) იმედით, რომ ის წარმატებული იქნება;
ბ) სურვილით, რომ ის მალე დამთავრდეს;
გ) თანამშრომლებთან სასიამოვნო საუბრისა და კოლეგებთან საინტერესო შეხვედრების მოლოდინით;
დ) იმედით, რომ ამ დღეს უსიამოვნებები არ გელოდებათ.



10. როცა თამაშს აგებთ, ეს თქვენ:
ა) განწყობას გიფუჭებთ და ფიქრობთ, რომ ცუდი დღე იყო თქვენთვის;
ბ) გაიძულებთ ითამაშოთ მანამ, სანამ არ მოიგებთ;
გ) არ განერვიულებთ, რადგან მიგაჩნიათ, რომ თამაში თამაშია და ვიღაცამ უნდა წააგოს;
დ) გაიძულებთ, იფიქროთ იმ ხერხებსა და საშუალებებზე, რომლითაც შესაძლებელია მოგება.

11. როდესაც სუფრას უზიხართ და განსაკუთრებით გემრიელი კერძის მცირე ულუფას გაწვდიან:
ა) სასწრაფოდ შეექცევით;
ბ) გეშინიათ, რომ შეიძლება, წონაში მოიმატოთ;
გ) შეექცევით, მაგრამ სინდისი გქენჯნით;
დ) შიშობთ, რომ შესაძლოა, თქვენმა კუჭმა ის არ მიიღოს.

12. როდესაც ჩხუბი გიწევთ იმ ადამიანთან, რომელიც გესიმპათიურებათ:
ა) შიშობთ, საბოლოოდ არ გაგიფუჭდეთ მასთან ურთიერთობა;
ბ) მშვიდად ხვდებით ამ ფაქტს, რადგან მიგაჩნიათ, რომ ეს გარდაუვალია და ამას გარკვეული მნიშვნელობაც აქვს;
გ) ფიქრობთ, რომ მალევე შერიგდებით და ყველაფერი კარგად იქნება;
დ) მიგაჩნიათ, რომ ეს გარკვეულწილად კარგიცაა, რადგან ურთიერთობები ადამიანებს შორის ყოველმხრივ "რბილ" არ უნდა იყოს.

13. როდესაც სააბაზანოში საკუთარ სხეულს უყურებთ:
ა) ნორმალურად აღიქვამთ, თუმცა მიგაჩნიათ, რომ უფრო უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო;
ბ) ფიქრობთ, რომ უნდა დაიკლოთ ზედმეტი წონა და ამისთვის დიდი შრომა მოგიწევთ;
გ) მიგაჩნიათ, რომ თქვენი სხეული განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს;
დ) იმავ წამს იღებთ გადაწყვეტილებას, რომ უნდა დაკავდეთ ტანვარჯიშით.

14. რამდენად უშუალო ხართ სასიყვარულო ურთიერთობებში?
ა) მთელი არსებით ეძლევით სიყვარულს, თუნდაც ის ხანმოკლე იყოს;
ბ) განუწყვეტლივ აანალიზებთ თქვენს ურთიერთობებს და ფიქრობთ იმაზე, რამდენად სასიამოვნოა პარტნიორისთვის თქვენი გრძნობების გამოხატვა;
გ) მუდმივად რაღაც გთრგუნავთ, სულ აფორიაქებული და შეწუხებული ხართ, მთლიანად ვერ ეძლევით გრძნობებს;
დ) არაფერზე ღელავთ, თავს კარგად და თავისუფლად გრძნობთ.

15. გაიარეთ სამედიცინო შემოწმება, ელოდებით შედეგებს...
ა) შიშობთ, არ აღმოგაჩნდეთ რომელიმე სერიოზული დაავადება;
ბ) დარწმუნებული ხართ, რომ ექიმი მაინც არ გეტყვით სიმართლეს;
გ) ფიქრობთ, რომ სერიოზული არაფერი გჭირთ და არაფერია საშიში;
დ) მიგაჩნიათ, რომ ყოველმა ადამიანმა უმჯობესია დროულად შეიტყოს სიმართლე საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ.

16. რას გრძნობთ ყოველდღე ადამიანებთან ურთიერთობისას?
ა) ხან სალმიანი ხართ, ხანაც ცივი, ადამიანებიდან და ვითარებიდან გამომდინარე;
ბ) ხშირად უხერხულად გრძნობთ თავს და არ იცით, როგორ მოიქცეთ;
გ) ყურადღებით აკვირდებით ადამიანთა რეაქციებს თქვენს ქცევაზე, ყურად იღებთ იმას, რასაც თქვენზე ამბობენ;
დ) არც ისე იშვიათად გეჩვენებათ, რომ სხვებზე უკეთ არ იქცევით.

17. როგორ ემზადებით ხანგრძლივი მოგზაურობისთვის?
ა) საგულდაგულოდ გეგმავთ მას;
ბ) ეჭვი არ გეპარებათ, რომ რაღაც ისეთი მოხდება, რაც აუცილებლად შეგიშლით ხელს;
გ) მიგაჩნიათ, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება და მაინცდამაინც არც სამზადისით იკლავთ თავს;
დ) გამგზავრებამდე პრაქტიკულად სულ აფორიაქებული ხართ და მხოლოდ გამგზავრების შემდეგ წყნარდებით.

18. ჩამოთვლილ ფერთაგან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?
ა) წითელს;
ბ) რუხს;
გ) მწვანეს;
დ) ლურჯს.

19. რას ეყრდნობით გადაწყვეტილების მიღებისას, ანუ რისი იმედი გაქვთ?
ა) წარმატების, გამართლების, რომ ეს იქნება ბედნიერი შემთხვევა;
ბ) მხოლოდ საკუთარი თავის;
გ) სწორად გათვლის, გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურად შეფასების;
დ) სხვადასხვა სახის მინიშნების (რომელი ფეხით ადექით, ქუჩაზე შემოგხვდათ თუ არა შავი კატა და ა.შ.).

20. თუ არჩევანის საშუალება მოგეცათ, რას მიანიჭებთ უპირატესობას?
ა) მიიღოთ მემკვიდრეობა;
ბ) მიაღწიოთ სტაბილურ წარმატებას პროფესიულ ასპარეზზე;
გ) შექმნათ რაიმე მნიშვნელოვანი მეცნიერებაში, ტექნიკაში, ხელოვნებაში და მოიპოვოთ აღიარება;
დ) შეხვდეთ საყვარელ ადამიანს, შეიძინოთ კარგი მეგობარი.

შეჯამებული ქულების მიხედვით
შეგიძლიათ განსაზღვროთ, რამდენად ოპტიმისტი ხართ:

**91–100** ქულა - გადაჭარბებული ოპტიმიზმი, რეალური ცხოვრებისეული გარემოებებით განუპირობებელი, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად საღად აზროვნებას მოკლებულიც.

**76–90** ქულა - ოდნავ მოჭარბებული, მაგრამ მაინც ნორმალური ოპტიმიზმია, რომელიც ზოგჯერ ხელსაც კი გიშლით ნაკლოვანებათა გაცნობიერება-გამოსწორებაში.

**61–75** ქულა - ჯანსაღი რეალიზმია, რომელიც ნორმალურ ოპტიმიზმს ეფუძნება და სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში დომინირებს.

**48–60** ქულა - ჯანსაღი მსოფლმხედველობაა, რომელსაც საკმაოდ ხშირად ახლავს პესიმიზმიც.

**36–47** ქულა - უფრო ხშირად პესიმიზმი ჭარბობს, თუმცა ზოგჯერ ოპტიმიზმიც გამოანათებს.

**24–35** ქულა - გადაჭარბებული და გამოუსწორებელი პესიმიზმია, რეალური ცხოვრებისეული გარემოებებით განუპირობებელი.


## ი ყ ი დ ე ბ ა !

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:
571 55 99 51. იკითხეთ ლია.
ფასი შეთანხმებით


## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ლია ბაიდოშვილს! ზურა ტოკლიკიშვილს!

ქ-ნო ლია, ჩვენო საყვარელო დირექტორო, თქვენს ოჯახს ვულოცავთ შვილების გიორგი ტოკლიკიშვილის და ნათია კოლხიდაშვილის ქორწინებას. ახლადშეუღლებულებს ვუსურვებთ ბედნიერად და სიყვარულით იცხოვრონ და იცოცხლონ დიდხანს, გაიხარონ და თქვენც გაგახარონ. უფლის წყალობა არ მოაკლდეს თქვენს ოჯახს.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

გაზეთ „საქართველოს ლირიკის" გამოკითხვების მიხედვით, დედოფლისწყაროდან 2012 წლის რეიტინგული ადამიანები გამოვლინდა. მარინე ღვინიაშვილი (თვითნასწავლი მხატვარი), ილია ტალიაშვილი (შპს „სერვისი 2007"), სოსო თევზაძე (მეღვინე ტექნოლოგი), რობიზონ იაკობიშვილი (ფერმერი) და ბექა გონაშვილი (მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი).

ასევე, ყოველკვირეულ გაზეთებს შორის რეიტინგულ გაზეთებად დახელდა: „პრაიმ ტაიმი", გაზეთი „შირაქი" და „ჯორჯია თუდეი".

გვინდა მარიამობის დღესასწაული და ნომინანტის წოდებები მივულოცოთ, როგორც ახალ, ისე გასულ წელს დასახელებულ ნომინანტებს.

საქართველოს მწიგნობართა ასოციაცია, დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის სახელით

ლია ნადარეიშვილი და ვანო ნატროშვილი.

## ა მ ი ნ დ ი — დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| | შაბათი 25.08 | | კვირა 26.08 | | ორშაბათი 27.08 | | სამშაბათი 28.08 | | ოთხშაბათი 29.08 | | ხუთშაბათი 30.08 | | პარასკევი 31.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 28° | 23° | 28° | 24° | 30° | 25° | 29° | 25° | 28° | 22° | 31° | 21° | 27° | 24° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
ნომრის რედაქტორი **ინგა შიოლაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის" სტამბაში

რედაქციის მისამართია:
ქ. დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K